

ტესტის სახელწოდება:

რკინის ოდენობის განსაზღვრა შრატში

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

ალტერნატიული დასახელება არ გააჩნია.

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

ტესტი ადგენს სისხლში რკინის კონცენტრაციას. რკინა ადამიანის ორგანიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია და, როგორც მის ნაკლებობას, ასევე მის ჭარბ რაოდენობას, შეუძლია მძიმე დარღვევები გამოიწვიოს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

მოცემული ანალიზი მაშინ ინიშნება, როდესაც პაციენტს რკინის ნაკლებობის ან სიჭარბის ნიშნები აქვს. მაგალითად, მას ნიშნავენ ანემიაზე ექვსის მიტანის შემთხვევაში.

რკინის განსაზღვრასთან ერთად ხშირად სხვა ანალიზებიც ინიშნება – ფერიტინის ტესტი, ტრანსფერინის ტესტი, TIBC.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე საჭიროა საკვების მიღებისგან თავის შეკავება.

ანალიზის შედეგებზე ზეგავლენა შეიძლება ზოგიერთმა მედიკამენტმაც იქონიოს, ამიტომ ანალიზის გაკეთებამდე აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

შედეგების ინტერპრეტაცია:

მხოლოდ რკინის კონცენტრაციის განსაზღვრა არ არის საკმარისი დიაგნოზის დასასმელად, ამიტომ ხშირად დამატებითი ანალიზები ინიშნება – ფერიტინის, ტრანსფერინისა და TIBC-ის ტესტები.